ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N14

2018 წლის 29 იანვარი
ქ.ქობულეთი

ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯია"-სათვის საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიას" ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკას ტერიტორიაზე ახალ ქსელზე მიერთების მიზნით (ფ/პ ჯამბულ ჩავლეიშვილის კუთვნილ ობიექტზე ს/კ 20.33.02.225) 0.22 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. ს/ს ,,ენერგო-პრო ჯორჯიამ" უზრუნველყოს საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

ჭს ცუცხლაური ფ.№1 ს/ნ 102-328/320 კვა
საპროექტო 0.4 კვ ხაზ 100 მ
ობიექტი
20.33.02.225
203302148
203302066
203302122
203302072
203302076
203302141
საპროექტო 0.4 კვ 2ც დგარი
არსებული 0.4 კვ ხის დგარი
განშტოების წერტილი
ENERGO-PRO
ელექტრული ხაზი
0.22 კვ ძაბვის ხიხან ტრანსის შენება
A(3) მ. 1:700
2017 წელი